# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

,,თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 50 მან., ნახევარ წლით 30 მან. თითო ნომერი--5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. ,,თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილი.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 86

1919 წ. № 14 კვირა ქრისტიშობისთვის 12 ფასი 5 მან. წელიწადი მეშვიდე გამოცემის

მიიღება 1920 წ. ხელის მოწერა. წლიურად 50 მ.


# გაუმარჯოს სახალხო გვარდიას, სამშობლოს გუშაგს!

(სახალხო გვარდიის დღესასწაულის სახსოვრად)



სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადღეისო

ჩვენი წარსული მრავალ საუკუნის კულტურა, ნივთიერი და სულიერი შემოქმედება, ხელოვნება და მწერლობა როდის დაემხო? — როცა ჩვენს ქვეყანას რკინის კარები შეეხსნა, მის მცველს მარჯვენა დაუდუნეს, ხმალი დაახრევინეს, ეროვნული დროშა შეუგინეს.

დღეს, როდესაც ჩვენს თვითშემოქმედებას ფართო გზა გაეხსნა, ხელოვნებასა და მწერლობას მზიანი დღე გაუთენდა — რა არის ამის მიზეზი? საკუთარი ჭერის შექმნა, მარჯვე ხელი, რკინა ფოლადის სიმტკიცე.

ვინ შექმნა ყოველივე ეს? — წითელმა გვარდიამ — სახალხო გვარდიამ

ვინ არის სახალხო გვარდია? —

სამშობლო [illegible]ღვიძლი?

და ცოდ[illegible] ქვეყნის მარილი, ფუძე [illegible] ღობე, — სოფლის შეგნებული გლეხობა და ქალაქის მუშები. მათმა შეერთებულმა და ცნობიერმა ბრძოლამ დასცა საქართველოს მტრები და 117 მონობაში ჩაფლულ სამშობლოს ცის ტატნობზე მზის სხივები აღმოაბრწყინა. დღეს მზე იგი ამოდის, ქვეყანა ნათდება, თბება.

და ეს სახალხო გვარდიის ნაამაგარია.

ამიტომაც ხელოვნების ღმერთიც დღეს მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად შეჰღაღადებს:

— ვაშა სახალხო გვარდიას! გაუმარჯოს სახალხო გვარდიას, ჩვენის გულის ვარდიას!..

**იოსებ იმედაშვილი**

## ორი წლის თავი

შარშან ამ დროს საქართველოს ყოველმხრივ ესეოდენ მტერი, მის განადგურებას ცდილობდა. დაღონდა ქართველი ერი!

არ შედრკა გვარდია!

თავის ერის სულიერ! ძლიერის განსამტკიცებლად, ხალხთან ერთად გადიხადა თვისი დღესასწაული და მეორე დღესვე მიუბხენდა მტერს!..

დღესაც უძლიერესი მტერი, შავი რუსეთი ლამობს ჩვენი ქვეყნის შემუსვრას!

მაგრამ მტერი აღარ გვაშინებს!

გვარდიამ შეგვაყვარა სამშობლო და გამარჯვება! იგი შარშანდელზე უფრო ძლიერია! მას მხარდამხარ მისდევს ძლიერი ლეგულიარული ჯარი

მას რკინის ხელით უკავია საქართველოს დამოუკიდებლობის დროშა, რომლის წართმევა ძნელი და სახიფათოა.

მას დამარცხება არ სჩვევია

ჩვენ 12 ქრისტეშობისთვეს 1919 წ. მეტი სიხარულით ვიდღესასწაულებთ...

ვაშა წითელ პატრიოტებს!

**სვ. წერეთელი.**

# წითელი გვარდია

საქართველომ შარშან პირველად იდღესასწაულა გვარდიის არსებობის წლის თავი. დღეს უხდის მეორე წლის თავის ზეიმს ამ სამშობლოს გმირებს. ასრულე მომავალი წლები: საუკუნენი მუდამ მოიგონებენ გვარდიის ღვაწლს ეროვნული დღესასწაული ეროვნულ ძალთა დემონსტრაციით მუდამ გაცოცხლებს იმ რევოლუციონურ სულს, რითაც სდუღს გმუღლობს საქართველოს დემოკრატია

დიდია ღვაწლი და მნიშვნელობა გვარდიისა. საქართველო თუ ამაყობს თავისუფლებით და ქვერი თავზედ არ დაექცია, ეს ნაყოფია იმ ბრძოლისა რომელიც ჩვენმა გმირებმა გადაიტანეს.

[illegible]ძის მიწურულში მტერმა მოგვწყვიტა ბათუმი და განადგურებას გვიპირებდა, ვინ მიუშვირა მკერდი მტერს? გვარდიამ!

საქართველოს შინაურმა მტრება რომ რესპუბლიკის დ ნგრევა მოინდომეს და ყველგან ცეცხლი გააჩინეს, ვინ ჩააქრო? — გვარდიამ.

მოულოდნელად ომი თავს დაგვატყდა და თბილისის დაკარგვასთან ერთად საქართველოც უნდა დასამარებულიყო ვინ შეაჩერა მტერი? გვარდიამ. დენიკინი და მისი ავანტიურისტები რომ ვერ ბედავენ ჩვენს განადგურებას ვისი ეშინიანთ? გვარდიისა.

აი ღვაწლი და მნიშვნელობა მისი არსებობისა. ამიტომ დაუფასებელია მისი საქმენი სამშობლოს და კაცობრიობის წინაშე იგი უჩვენებს საერთაშორისო პროლეტარიატს თუ როგორ უნდა ბრძოლა და სრბოლა სოციალიზმისკენ. ცალხელში ხმალი, ცალში დროშა, შეგნებული წინსვლა, აი მისი ტაქტიკა გამარჯვებისა.

ჩვენი რესპუბლიკის დროშა საერთაშორისო ცეცხლის კოცონზედ ამაყად ფრიალებს და აჯვირგვინებს ერის საამაყო სახელს.

გაივლის მრავალი საუკუნე, კაპიტალისტურ ხანას შესცვლის შრომის და მისი უფლების ხანა კულტურა უმაღლესად განვითარდება და კაცობრიობა მიეცემა შვებას, მეცნიერნი და მკვლევარნი მაშინ უფრო შეუდგებიან განვლილ ცხოვრების კვლევა ძიებას, ისტორიის ფურცლებიდან წითელი ასოებით ამოიწერება წარსული ტომები და გამოკვლევანი, ჩვენი გარიბალდიელები, მათი ძეგლები და საამაყო ისტორია გადაიქცევიან იმ მოვლენად რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს, იგი იქნება ერის სხეულის ერთერთი უკვდავი შემადგენელი ნაწილთაგანი, იგი იქნება ეროვნული ისტორიის და მის მაცოცხლებელი.

ამ გვარად ღვაწლი გვარდიისა როგორც დღეს ისე მომავალში ვიმეორებ დაუფასებელი და დიდებულია.

ამიტომ შევხარით მათ და უსურვებთ ჩვენს გმირებს დღეგრძელობას და გამარჯვებას!

**მუშა მხია დევაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერის სულის ზეიმი

დღეს წითელი გვარდიის საპატივცემო ზეიმია.

დღეს სახალხო გვარდიის აღფრთოვანებული სადღესასწაულო სიმღერით გამოსვლაა.

წითელი გვარდია..

ეს იყო დიდი რევოლიუციის პირმშო შვილი. მისი განვითარება-გაძლიერების წარმტაცი სიმბოლო.

სახალხო გვარდია.

ეს იგივე წითელი გვარდიის ღვიძლია იგივე სული იგივე გული და გმირობა.

იცვალა გამოთქმის ფორმა, დარჩა-კი ისევ ძლიერი ნება ძლიერი ბრძოლის წადილი.

და დღესაც გრძელდება მათი ,,საქმენი საგმირონი.''

არ იქნება გადამეტებული, თუ ვიტყვით თამამად, ამაყად, ყველას გასაგონად, რომ ისტორიას არ ახსოვს ისეთი შემადგენლობა ყოველ მხრივ სრული, როგორც არის ჩვენი გვარდია.

ეს შედევრია, ეს ორიგინალობაა ისტორიის ფურცლებზე.

და პირუთვნელი ისტორიკოსი დიდხან შეჩერდება მის დახასიათებაზე

ჩახედეთ ჩვენი გვარდიის მდგომარეობას მის მოძრავ სულს.

და თქვენ წინ გადაიშლება თვალუწვდენი ზღვა, რომელიც ხან ღელავს, ხან მიყუჩდება.

და რაც იდუმალია და მომხიბლავი — ეს მისი გულის სიღრმეა.

აიღეთ მთლიანი სახე ჩვენი გვარდიისა, დაანაწილეთ იგი და მის შემადგენლობაში თქვენ აღმოაჩენთ ყველა იმ ძალებს, რომლებიც ჩვენს ერს ყოველ მხრივ ანიჭებენ სიცოცხლეს.

აი ქარხნის მუშა, რომელსაც ერთ ხელში ,,შრომის სუფევის'' ჩაქუჩი უჭირავს და სცემს გრდემლზე და მით ქმნის სახალხო სიმდიდრეს, და ამავე მუშას მეორე ხელში უპყრია თოფი და არწივისებური შრისხანებით გასცქერის თავისუფლების სივრცეს და თუ დაინახავს ვინმე ვერაგი მურტალი ხელით ეპარება მის თავისუფალ მხარეს, გმირულად დაეძგერება.

— ხმალი და გრდემლი, — აი ხორცშესხმული სიმბოლოს ერთი ნაკვთი.

აი კიდევ გლეხი გუთნის დედა, სოფლის გუშაგი, განიერ მკერდ-გადაშლილი გასცქერის მის-მიერ შექმნილ ჯინახულს. და სიამით სავსეს უხარის, რომ ის თავისუფალია და რესპუბლიკის უფლებიანი წევრი. ის შრომობს, იქნევს, თოხს ნამგალს და ამავე დროს როგორც გვარდიელი არ იშორებს თოფს მან იცის თოფისა და ნამგლის შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა მან იცის რომ ფეოდალის ღუღლიდან მშრედი ნამგალი გამოგდა, მაგრამ დღეს მისი სწორი შეგნება ასეთს წინააღმდეგობას ათანხმებს, თავისუფლების მოპოვება მუდამ სისხლით იღებოდა და მისი შენარჩუნებაც მოითხოვს იარაღით გუშაგად უდგეს მას.

და ასე იქმნება კიდევ მეორე ნაკვთი სიმბოლოსი

თოფიდა ნამგალი-ორი მოწინააღმდეგენი ორი. აუცილებელი შეერთება.

აი კიდევ ინტელიგენტი — დუხჭირ ცხოვრების გარდამვლობისაგან სახე წამებული-და გაფერმკრთალებული. ის დაავადდა ციხე-კატორღებში. მის საზოგადოებრივ სულს ახრჩობდენ. ამოვიდა მზე, დაიმსხვრა მონობის ბორკილები, და მის აღმაფრენას ფრთები შეესხა. ხელში აიღო კალამი. გონება თავისუფალია ,,აზრის ჯალათებისაგან,, სიამის ღიმი უბრწყინავს სახე თავისუფალ მხარეში თავისუფალ უხვეულო სიტყვებს, ქმნის სურს ერის სულის სალაროში შეიტანოს ახალი გატაცება ახალი სასიცოცხლო აზრები და თქვენ დაინახავთ მის გვერდით თოფია. კალამი და თოფი — გონება და ტყვია.

ორი სვედის მომგვრელი წინააღმდეგობა, მაგრამ დიადი იდეის დაცვისთვის დღეს შეერთებული.

და ასე კიდევ მესამე ნაკვთი ჩვენი ყოფნის დამახასიათებელი სიმბოლოსი.

და სინამდვილის სახით ჩვენ თვალწინ გარდაეშლდო სამი სახე, — სამება, რომელიც ხელი ხელ გაურთდნი, მიდიან წინ შეურყევლად.

სიმბოლო ხორც სხმული, სიმბოლო სინამდვილეში წარმოშობილი, სიმბოლო-ცრემლებში განბანილი და სიმბოლო ბრწყინვალე მერმისის მანათობელი ჩირაღდანი.

და ეს ამკობს 12 დეკემბერს.

12 დეკემბერი თავისი უდიდესი შინაარსით გვატკბობს, და თვალწინ გვიყენებს მრავალ წინააღმდეგობასაც, რომელიც ბრძოლის გზაა.

ჩვენ გვიხარის, როცა მრავალ ჭირ გადახდილ მშრომელ ხალხს იარაღით დარაზმულს სადღესასწაულო ელფერში უცქერით და ამასთან სიამის ცრემლებით, ნაზი ღიმილით გულში ვგმლობთ, როცა ჩვენი დემოკრატიის პაწია საურჯულს ბორკილებ-შემომსხვრეულს ვგულობთ.

და ეს განცდა არის ცისკარი ჩვენი სულისა.

და უცქერით ჩვენს დღესასწაულს ბრჭყვიალა ხიშტები ამშვენებს, ზედ შემხმარ სისხლით წინწკლებით.

და ჩვენ არ გვინდა ისინი, ჩვენ გვინდა სულ მალე დადგეს ის დრო როცა ხალხის ზეიმი იქნება ზეიმი სულის, გონების, სიყვარულის და ერთობის

მაგრამ დღეს კი საჭიროა. შავი რკალი გარს არტყია მშვენიერ თაიგულის მშვენიერ ყვავილს. და მებაღე, ამის დამრგველი, დემოკრატია, მის მკერდიდან გამონადენ სისხლით მაცოცხლებელ ნამად ეფრქვევა.

და ასეთს დროსაც ისმის სიმღერა მეჭექარე ,,მოვა დრო ჩვენივე შექმნილ ხმალს ჩვენვე გარდაქმნით შრომის იარაღათ, მანმდის კი ხელში გვიპყრია იგი. და არ დავუშვებთ, სანამ ყველა წყვდიადის მოციქულები სასიკვდილოდ არ განირთხმებიან ძმობა, ერთობის, და თავისუფლების ტრაპეზის წინაშე,''

და კიდევ 12 დეკემბერი სიხარულის გარდა ცრემლებსაც გვგვრის..

105

ჩვენს მოგონების ჰორიზონტზე ცოცხალი სახეებით დგებიან ის მსხვერპლნი, რომელთა სისხლით შეიღება თავისუფლების დროშები. თითქოს დღეს ისინიც მკვდრეთით ამდგარანო, აქ არიან ჩვენთან საიუბილეო პროცესიაში, იმღერიან, ხარობენ.

მაგრამ ეს წარმოდგენის უახლოესი ანარეკლებია. ისინი სდუმან, სასაფლაოს სევდიან სიჩუმეს ჩაუკრავს თავის გათოშილ მკერდში

მძიმე მიწას დაუფარავს მათი ურთხელ სიცოცხლით სავსე გული გაათფურთებულ მტრის ტყვიას ჩაუქრია ცეცხლოვანი თვალები.

და მხოლოდ მათი სამაგალითო მოქმედება მათ სახეებს მარადიულად აცისკროვნებს ჩვენს სევდიანს მოგონებაში.

და საძმო სასფლავი დღეს კოცონივით ანთებულა, სადაც ვხედავ როგორ იფერფლებიან შიგ უტყუარი მსხვერპლნი თავისუფლებისა.

ოხ, რამდენი სევდა, ურვა, სულის ქვითინი და ცრემლიანი თვალები მიჰყვება დღეს საიუბილეო პროცესიას.

და წინ მაგვიძღვება გამარჯვების ემბლემა. ვიმღერით, და ამავე დროს ჩვენს გონებას წინ ადგა. რთულდა წამების ჯვარი, სასაფლავო, კუბოები, და... ქვითინიც.

და მთელი გრძნობით, სევდით და სიხარულით გავიძახით.

— ცისკრის ვარსკვლავი ამთვიდა!.

— „მსხვერპლთ დიდება!!!

და ასე სევდით და სიხარულით იქარგება 12 დეკემბრის ტრადიციული დღესასწაული.

ჩვენ ვმღერით, ჩვენ ვტირით, ჩვენ ვისმენთ დახოცილთა ძახილს, და ერთი გიგანტიურ თ ბგერით მივდივართ წინ.

და ვით ამირანი თავისუფალი, კლდისგან მოსხლეტილი, ამავე კლდის მწვერვალიდან გადავსძახით მთელს მსოფლიოს, ყველას დამონავებულ, თავისუფალთ, მშრომელ დემოკრატიას რომ საქართველოს დემოკრატიამ, შეკავშირებული თავდადებით საერთაშორისო ერთა სიყვარულის გრძნობით ავიდეთ ხელში ის წმინდა აგური რომელიც მშვენიერ ნაწილათ ემატება მთელი კაცობრიობის თავისუფლების ასაშენებლად დაწყებულ ტაძარს.

ჩვენ გვწამს. გვწამს საქმათ, მთელი არსებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის წითელი დროშა სამარადისოდ ემბლემად დამშვენდება სოცი ლიზმის ნანატრ სამეფოში.

და ეს რწმენა ურყევი და უკვდავი, რწმენა ცრემლებით, სისხლით და ოფლით განმტკიცებული დღეს 12 დეკემბერს, მუსიკალურ ჰანგებით ეფინება არე მარეს; როგორ საერთოდ, ისე საქართველოს ყოველის სარბიელს მაცოცხლებელ ნექტარათ ევლინება და ტკბილ ცვარად ეპკურება მის განახლებულს სულის წიაღკოტს!..

ქ. გერგედე

## მგვარდიელებს

ისმის სიმღერა მხიარული, ისმის ყიჟინა
ჩამოეცალეთ, გზა მიეცით, გზა — გვარდიელებს!
მტერი გარეკეს, ვერ აღუდგა ვერავინ წინა,
მამაც რაინდებს, ახალგაზრდა ივერიელებს!
მაყრულს ამბობენ, გესმით, მაყრულს ჩვენი გმირები,
თავისუფლების ლამაზ სხივებს ხელით იჭერენ,
დღეს ზეიმობენ, ქორწილი აქვთ გადასახადი:
ტარიელს ნესტან უპოვნია და ჯვარსა სწერენ;
ამაყობს დედა — საქართველო თავის შვილებით,
და მასთან ერთად მეც ვამაყობ — ქართველი ქალი;
წინ მივეგებოთ სალამით და ვარდ — ყვავილებით,
წინ მივეგებოთ, ჩამოვართვათ დაღლილებს ხმალი.
ისმის მაყრული მხიარული, ისმის ყიჟინა:
ჩამოეცალეთ, გზა მიეცით, გზა გვარდიელებს!
მტერი გარეკეს, ვერ აღუდგა ვერავინ წინა,
მამაც რაინდებს, ახალგაზრდა ივერიელებს!..

საფო მგელაძე



…ოთიდის გვარდიელები

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვარიის ბელადნი·
სანდრო მაისურაძე, ვ. ჯუღელი და ა. დგებუაძე

# განახლებული სიცოცხლე

რომანი ქართველ სომეხთა ომიდან
(გაგრძელება. იხ № 13)

## წითელი დღესასწაული

სომხეთში რომ შავ-ბნელი ძალა ძმათა სისხლის საღვრელად კბილებს აკაპუნებდა, საქართველოში ძმობის ტახტად ია-ვარდი იფინებოდა.

1918 წ. ქრისტეშობის 12-ს მთელი საქართველო ზეიმობდა ამ დღეს ქართველი ერი დღესასწაულობდა წითელი გვარდიის არსებობის წლის თავს, ტბილისის დემოკრატია და მთელი ცნობიერი ქართველობა სადღესასწაულო გუნებაზე იყო.

დღე იყო მზიანი, წყნარი, მშვიდი.

დღესასწაული დილიდანვე დაიწყო. ქუჩები აუარებელი ხალხით აჭრელდა, თითქო მაისის ნაირ ყვავილთა ველ-მინდორიაო.

სასახლის წინ და რუსთველის პროსპექტსზე თბილისის სხვა და სხვა ქუჩებიდან რაზმი რაზმად წყობისად გამოიფინა წითელი გვარდია, ეს ბურჯი რევოლიუციის, იმედი დემოკრატიის, სასოება საქართველოს დამოუკიდებლობისა და ლახვარი მტრისა.

აგერ ცხენოსან გვარიელთა რაზმი რაწყობისად მოგოგმანობს.., ოჰ რა მშვენიერია, რა ალმტაცი!.. აჰა, ქვეითა გვარდიელები,—ზოგიერთ რაზმთაგანს თოფებზე პატარა წითელი დროშები შეუბავთ,—ნიშანი იმისა რომ რევოლიუციის მონაპოვარს უსისხლოდ არავის დავუთმობთო, და როგორ ჰშვენიან!. ჩამწკრივდნენ მეთოფ-ზარბაზნენი, ტყვიის მფრქვეველი მოტოციკლეტნი და სხ.

მათ მოსდევენ პროფესიონულ კავშირთა წარმომადგენელნი საკუთარი დროშებით. დროშები უმეტესად სოციალისტურია წითელი მარქსის, ენგელსის ლასალის სურათებით ანუ სხვა და სხვა ნიშნებით სარევოლიუციო შინაარსის წარწერებით; შიგა და შიგ საქართველოს ეროვნული სნმფეროვანი დროშებიც ფრიალებს ეტყობა, სოციალისტურ დროშასთან ერთად ეროვნულ სამფეროვან დროშასაც სიპატიოდ აფრიალებს... ქალაქს ჯმდოსნურად დაჰფრენენ ჰაეროპლანები, ქუჩებში საუცხოოდ მორთული ავტომობილები მიმოჰქრიან, ტრამვაის ეტლები დროშებით და ყვავილხლართებით და წარწერებითაა შემკული; აგერ-იგერ მოკოპწიავებული ფანჩატურებია, სადაც საქართველოს ტურფა მანდილოსან-ასულნი გვარდიას ვარდ-ყვავილს უფენენ; ხალხის გული გადახსნილია რაინდ გმირთა ჩასახუტებლად, ჯიბა შესაწევად... ჰშვენიან ცხენოსანი და ფეხოსანი მილიციოლნიც, მაგრამ საყოველთაო ყურადღებას მაინც გვარდია იპყრობს. იგი შემდგარია უმთავრესად თბილისის სხვა და სხვა დარგის ქარხნის მუშათაგან ეროვნების განურჩევლად; მართალია ქართველობა სჭარბობს, მაგრამ არიან სხვანიც. თათრები, სომხები და სხ. იარაღით გამოსულია ქარხნის მუშა, გუშინ რომ დაზგასთან იდგა, გლეხი—გუთანი რომ ეჭირა, ანუ თოხ-ბარით მიწის ზეადაგს ამუშავებდა და ტკბილის ღიღინით ქვეყანას ძმობა-ერთობისკენ მოუწოდებდა, დღეს თოფი აუღია, ხმალი შემოუკრავს, და ვინ იცის, იქნებ თავისივე წოდების რაზმსაც დაუპირდაპირდეს... ასეთია ხასიათი ძველი ქვეყნის ნგრევისა ახალის აგებისა! უპირველეს ყოვლისა ქარხნის მუშამ და გუთნის დედამ უნდა აიღოს თოფი როცა მისი საამრეწველო ანუ სახნავ-იათ ესი საფთხეშია·.

შეხე. თითქო თუჯისა და ფოლადისაგნ ჩამოსხმული ადალმაათ, ისეთის გამომ ტყვილებით მო ბიჯებს გაჟულ ვაჟკაცთა რაზმი, ან და მდევთა ლაშქრობას რო მოგაგონებენ, რა მძიმე და მტკიცე ნაბიჯით მოდიან; ამ სვლით გაგრძნობინებენ ძალას, რწმენას... სიმართლეს!..

უჰ, თქვნკი გენაცვალეთ ბიჭებო, მთის არწივეებო?... ალალი იყოს დედი თქვენის ქუძუ თქვენზე თქვენის ჩილვით „სასოებამ ფრთა გაშალე. გულსა გვკრა და აგვიძგერა“, თქვენით, თქვენით იხარებს სამშობლო ჩვენი!.

გულისგულიდან ამოიძახის ყოველი ქართველი!.

—ვა, ეს რამდენი ყოფილან, ერთი აქ უყურეთ და!—გაიძახიან თავისთვის შეფიქრიანებული სომხები დათან იდუმალ თვალს ავლებენ რუსთველის პროსპექტზე ვერის დალმართამდე და თავისუფლების მოედნამდე გამოფენილ ჩამწკრივებულ გვარდიას.

—ფუი, ეშმაკო! ეგოდენა იარაღს როგორ შეუყაათავიჩ!—იფურთხებიან რუსები.

და არც ზოგიერთი უცხოელნი არიან კარგ გუნებაზე: კრიჭა—შეკრულნი პირმოკუმულნი ავტომობილებით აუქროლ—ჩაუქროლებენ ხოლმე გვარდიელთა წყებებს და გუნებაძი ძრახვიან:

დალახვრათ ღმერთმა, მიწიდან ამოძვრენ თუ?,.. მერე განა ჩვენ ამისთანა ხალხის ჩაყლაპვა—განადგურებას შევსძლებთ?!

და არიან ისეთი უცხოელნიც, რომელნიც ამ თვალისიერით სტკბებიან და შესძახიან:

—ვაშა საქართველო! ვაშა მის ერთგულ შვილებს! ვაშა წითელ გვარდიის და მის მშობელ დემოკრატიას!

ჩამწკრივებულ რაზმებს აუარ-ჩაუარეს გენ. ახმეტელაშვილმა და ვ. ჯუღელმა, ყველას გამარჯვება უსურვეს და ნასიამოვნები დარჩნენ.

დაიწყო გვარდიის დათვალიერება აგერ შუადღი 12 საათზე სასახლიდან გამოვიდა გვარდიის მთავარი შტაბი თავის საპატიო თავმჯდომარის ნოე ჟორდანიაშტაბი... თანახლებით. მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას ხმალ ამოღებული სამხედრო სალამით და მოხსენებით წარუდგა გენ. ახმეტელაშვილი.—ბატონო მთავრობის თავმჯდომარევ, დღეს გამოსულია მთელი გვარდია ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები.—ამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ხმალ ამოღებული გვერდს ამოუდგა და ყველა ნაწილთა ვინაობას უხსნიდა. შტაბს წინ მოუძღვის გვარდიის ერთი ბელადთაგანი ალექსანდრე დგებუაძე წითელი დროშით. დროშის ტარი ისე ჩაუბღუჯია ნაბიჯს ისე მოადგამს და ისეთის იერით, ძლიერი ნებისყოფით გამოიყურება. რომ სახეზე უმაღლესი რწმენა და ამ რწმენისთვის თავგანწირულება ეტყობა. იგი არას ამბობს, მაგრამ ამ უთქმელობით უფრო მეტს მეტყველებს. მისი ხილვა მთელ გვარდიას აფრთოვანებს, ხოლო მას მთელი გვარდია და მოპოებული გამარჯვება. აწოწილი, წელში ოდნავ მოხრილი ტანი, თხელი წვერ-ულვაში, სპილენძისებური იერი სახისა. ოდნავ შეჭაღარავებული შეკრეჭილი თმა, მტკიცე ნაბიჯი, დაკვირვებული თვალები თავისებური ტანისამოსი—ტყავის მოკლე ჯუბა გძელ ხალათზე—განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს; მეტის მეტი სადა, უბრალო და ამავე დროს მაღალბუბუნებოვანი, გარეგნობით რამდენად თავის მუშობას ამტკიცებს, იმდენად შეგნებულ რევოლიუციონერობას.

ვერვის შენიშნავთ რყევას, ორჭოფობას, შიშით კრძალვას... და რამენად ჩუმია ეს თვალსეირი, იმდენად ღრმა, წარუშლელი შთაბეჭდილების მომხდენი,..ამ სურათით საქართველოს ყველა ერთგული შვილი სტკბება, მაგრამ კიდევ უფრო სტკბება ბელადი სრულიად საქართველოისა მრავალჭირნახული ნოე ჟორდანია. მისი ბრწყინვალე სახე. მოციმციმე. ცოცხლად გამხტავი თვალები, მომღიმარე ბაგენი თითქო ერთს გამოსთქმიან: „მადლობა შემოქმედს, რომ ოცი—ოცდა ათის წლის ნაჭირნახულევი დაუცხრომელი შრომა, ბრძოლა ძველის თვითმპყრობელ რუსეთის მეფეთა მთავრობის წინაღმდეგ. დევნა, შევიწროვება, ციხე-ციმბირი, გადასახლება უქმად არ გაჰქრაო.. ამართული სარო ტანი ჭაღარა წვერ-ულვაში, სწრაფი ნაბიჯი, მუდმივი სიცოცხლიანობა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებს. საერთაშორისო პროლეტარიატის მისწრაფებანი და მშობელი ერის გულის თქმანი მასში თანაბარ შექსოვილია: პატარა ერის დიდს ბელადს ერთი უმეორეოდ ვერ წარმოუდგენია, თუმცა მასში ახალი ქართველი უფრო სუნთქავს,.. ძლიერია სასოება მისი ხალხისადმი და თვითხალხის მოწინაალმდეგეთაც კი მის მიმართ...

ნოეს მხარდამხარ მოსდევს გვარდიის მთავარი სულის ჩამდგმელი და სწორუპოვარი ბელადი ვალიკო ჯუღელი, ძარღვი და განცდა გვარდიისა, რომლის სახელსა და ხატებას ყოველი გვარდიელი მოწიწებით იხუტებს გულში ყოველი მისი ნაბიჯი, მიმოხვრა. თვალთა გაპოჭვრეჭა, გაპარსული პირისახის ნაკვთთ მოძრაობა თითქო ერთს გამოხატავს: არც ერთი წუთი უქმად არ დაიკარგოსო. ნათელი აზროვნება. სწორი ალღოიანობა, თავგამოდებული რევოლიუციონერობა მასში თანაბარ შეხავებულია .. რევოლიუციის ჩარხის ტრიალმა იგი მეცნიერების ტაძრიდან საქართველოს რევოლიუციის მედროშეს-გვარდიას ჩაუყენა სათავეში: მოუსვენარი მხედრობა არჩია და გვარდიამაც იგი იწამა.. ნოეს მეორე მხრივ, ცოტა ჩამოშორებით, მოსდევს გვარდიის ხელძღვანელი გენერალი სტ. ახმეტელაშვილი, ეს ნიძოლოზის ძველს ჯარში მუდამ ახალი იდეებით მსუნთქავი ახალ გვარდიაში კი ძველებური დისციპლინისა და სიმტკიცის მომთხოვნი, საყვარელი სარდალი გვარდიისა და კახელთა მუდამ ნაინტრი მხედარი,

რუსეთში რო რევოლიუციონურმა ცეცხლმა იფეთქა, გენ. ახმეტელაშვილს მეცხრე თურქესტანის პოლკი ებარა. კოლჩმა ბრიგ. ჩააბარა და პირველმა მან, ვითარც სამხედრო პირმა წამოაძახა გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკასო! რასაც მისი ჯარიც აჰყვა. სამშობლოში ათი დღით ჩამოვიდა ხოლო აქედან აღარ გაუშვეს, მეციხოვნეთა უფროსად დანიშნეს და გვარდიის ხელმძღვანელობა მიანდეს. აქვეა ვ მგელაძე ქართველო[illegible]ცნობიერობის პირველი მერცხალი, ბუნებით რევოლიუციონერი, რევოლიუციის კვესი და გრდემლი... აქვე არიან შტაბის სხვა წევრნი სანდრო მაისურაძე, ეს ტალი რევოლიუცისა, რომლის შეხება მუდამ სარევოლიციო ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევს, ვლ. ჯიბლაძე, ანდრო ჭიაბრიშვილი, ილ. ქარცივაძე, გ. ცინცაძე, კ. ორგველიძე. დ. სალირაშვილი, თ. შენგელია, გოგიშვილი, ვარდოიანი და სხ. რომელთა თავდაუზოგველი მუშაობა ყოველ გვარდიელს ხალისს უაკსეცებს... გამარჯვებულ მესვეურთა შორის მოსჩანს სამხედრო ვეზირი გრ. გიორგაძე, მამულიშვილი და დემოკრატი, ძველის მონობის დროსაც კი მუდამ საქართველოს განთავისუფლების აზრის მოტრფიალე სოციალისტი.

ნოე ჟორდანია შტაბის წევრთა, გვარდიის ხელმძღვანელის და სამხედრო მინისტრის თანახლებით გვარდიელთა წყებებს სალამს უძღვნის. ყველა სიხარულის გრძნობით დამთვრალია და მას ფიანდაზად უგებენ თვის გრძნობას...

სათვალსვირო მსვლელობი დიდებულია, არ ნახული... იქ სადაც ერთი წლის წინად საქართველოს გულღვიძლის მჩქლერთავი რუს თვით მპყრობელთ ქუსლი ანუ სხვათა პარ პაში ადუნებდა ქართველი დემოკრატიის ნებისყოფას, დღეს ეს დემოკრატია საკუთარი ნებისყოფით თავსულებას განამტკიცებს...

და ყოველი ქართველი თითქო უხილავ ცეცხლის ალებით და მზის სხივებით მოსილი დღესასწაულობს. საქართველო გულის გულიდან ნებიერად აღმოჰქშენს.

სასახლის მოშორებით, ტაძრის ქიმში სამხედრო ვეზირმა გიორგაძემ გვარდიას მიულოცა დღესასწაული გვარდიის ბელადს ვალიკო ჯუღელს ვერცხლის საყვირზე შებმული წითელი დროშა გადასცა და სხვათა შორის, უთხრა:—იმედია სახალხო გვარდია ძირს არ დახრის ამ დროშას და რესპუბლიკის ჯარებთან ერთად კვლავ ერთგულად ემსახურება ჩვენის ქვეყნის თავისუფლების დაცვას, მისი დემოკრატიული წყობილების განმტკიცებას!...

ვალილიკო ჯუღელმა საყვირი ყამოართო და მიუგო...

—მთელი გვარდიის სახელით დიდათ გმადლობთ, მოქალაქე მინისტრო, და გრწამდეთ, ამ საჩუქრის დანიშნულებასაც გავამართლებთ გვარდიელები და ჯარისკაცები ერთისა და იმავე საშოდან წარმოიშვნენ. ერთსა და იმავე აკვანში არიან აღზრდილნი! ორივე ხალხის შვილები არიან, მუშა-გლეხები. მიზანიც ერთი აქვთ და ხელისცლ ჩაკიდებულთ უნდა დაიცვან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა როგორც დღემდე, დღეის შემდეგაც გვარდია ერთგულად დაიცავს რევოლიუციის მონაპოვართ. თავისუფლებისა და დემოკრატიულ წყობილებასა და ვიდრე პირში სული უდგას ამ წითელ დროშას ძირს არ დახრის; ხოლო როცა საქართველოს გაუჭირდება და მარტო გვარდია ვერ შესძლებს მტრის მოგერებას. მაშინ აი ამ საყვირით მოგიხმობთ თქვენ. ჯარს, და შეერთებულის ძალით ყველას გავუმკლავდებით"..

ამ პასუხს მხურვალე ტაში და ვაშა მოჰყვა—

შემდეგ მიულოცეს სხვადასხვა ხელობის მუშათა კავშირებმა, სოციალდემოკრატიულ საუბნო კოლექტივების წარმომადგენლებმა და სხ.

დიდებული დღე იყო, მზეც კი იცინოდა; მხიარულობდა ქართველობა, ქართველი ერი, საქართველოს ყველა ერთგული შვილი.

ხალხის ასეთმა დიდებულმა ზეიმმა, გაურღვეველ კედელივით ჩავლეზულმა გვარდიამა და საქართველოს სიძლიერის ფუძემ მუშათა შეკავშირებულმა გამოსვლამ საქართველოს ყველა მტერი ღრმად ჩააფიქრა, განსაკუთრებით სომხებს გადაანთხია გულზე შხამი. აქვე, უამრ ხალხში შეუმჩნევლად დაძვრებოდენ ტერტერა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

103




სამხედრო ვეზირი გრ, გიორგაძე სალამს უძღვნის გვარდიელებს.

ჯრანას საიდუმლო მოციქულნი და ყოველივე ნახულ ამენილი საგანგებო შიკრიკის პირით სწრაფად აცნობეს ერევანში სომეხთა სვე-ბედის გამგეს, სომეხთა სამხედრო ბანაკში სანაინის მიდამოებში ტიგრანას და ყარაქლისში—ჰდროს: თბილისისკენ შემოტევა უნდა დააჩქაროთ, თორემ შემდევ გვიან იქნებაო..,

ამ დღის ზეიმით აღფრთოვანებული ხალხი ჯერ არცკი დაშლილიყო, რომ ქაშვეთის ასწვრივ, გვარდიის ცოცხალ კედელთა შორის, სატრამვაიო ბოძთან მდგარ ვ. გოგუაძეს შემოეკვარა ქართველი მწერალი.

—სალამი რევოლიუციას!

—სალამი მამულიშვილობას!

მიესალამნენ ერთმანეთს ღიმილით.

—როგორ მოგწონთ? დარწმუნებული ვარ, თქვენს აღტაცებას ახლა საზღვარი არ ექნება ქართველი ერის შვილთა ასე დარაზმვით,- უთხრა ვ. გოგვაძემ.

—„რას ვაქნევ ხმალსა, გ ნდ იყოს მჭრელი თუ სიმართოის დროს დამიჩლუნგდება?!“ —მიუგო ქართველმა მწერალმა მგოსნის სიტყვებიო და ბოლოს დასძინა: ,,რაში ვაქნევ თქროს უხმარად მდებარსა?!..

—როგორ! ეს დიდებული დღესასწაული არას უბნება თქვენს გულსა და გონებას!..

“—ქანქი, ქუნქი ბანქარა— გინდ ყოფილა, გინდ არა! მიუგო ქართველმა მწერალმა ხალხური ანდაზით.

—ოჰო. გეტყობათ ძლიერ ნაწყენი უნდა იყოთ ... ცისგან,—უთხრა ვ. გოგვაძემ სახე მოქმუხვნით.

—..- და რაშ გამამხიარულოს! განა უკეთ არ ..თ, სამხრეთით რა შავი ღრუბლები მოიჭინება!.. ბორჩალოში ძმათა სისხლი იღვრება და აქ კი ..დღესასწაულებთ!..

—ჰმ. . მესმის,—ჰიუგო ვ. გოგვაძემ ულვაშის ..გრეხით,—მამულიშვილო, მაგ აზრში მეც თქვენ... ვარ, და გრწამდეთ, ქართველის ხმალი ისე არ ..ატყდება, მტერს ერთხელ კიდევ არ აჩვენოს ..ავისი ფხა... თუ ლხინი გვეხერხება, არც ომი გეზაება... თქვენ ზურგი გაგეიმაგრეთ, პირველი სან..ების გამაგრება კი ჩვენ მოგვანდეთ .. მშვიდობით!..

ვ. გოგვაძემ კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი ..დიას, საჩქაროდ განშორდა და ჯავშნოსან ,,თა..ვლების სიმაგრეთი, № 3. სანაინისკენ გაიქროლა, ..ც მომწყვდეული ქართველი ჯარი თავის ძმის ..დიის მოლოდინში სისხლისგან იცლებოდა!, ·

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ; ; ს გვარდიას
(გვარდიის დღის გამო)

ბურჯი ქვეყნისა, მისი დამცველ ;
შეუპოვარი გმირი მებრძოლ ;
ჭირში მდევარი დაუძლეველი,
სამშობლოს მტრების სიკვდილის რგოლი, —
ვინც საქართველოს კიდით-კიდემდე
ამოუშლელი გაავლო ზოლი.

მტრებს ძრწოლასა ჰგვრ ს მოყვარეს შვება
მისი სახელი და ხმა მქუხარე,
მასზე ამყარებს მომავლის იმედს
ქართველი ე ი—'აშმო'ლო მხარე —
თავისუფლების მტკიცედება ფუძე
კვდება ვარამი და სიმწუხარე ..

ის არ შე რცხვენს მშობლის სახელს,
მის სადიდებლათ მსხვერპლათ სდებს თავსა;
ს.სიყვარულო ცეცხლით გზნებული
აღთქმის ქვეყნისკენ უკაფავს გზასა
და სანამ მშელს გარს ასხა მტერი
ძირს არ დაუშვებს ამოწვდილს ხმალსა.·

უყვარს მშობელსაც ა ქკაცი შვ ლი,
სიხარულსა გრძობს, ზეიმ ბს ერი,
დაფ ს გვირგვინზს უწნავს გმირ მცველებს
ის თავ მომწონე და მადლიერი —
მტკიცეა ბურჯი ჩვენის ქვაენსა!
აწ შიშით ძრწოდეს ბოროტი მტერი!!.

გ. ლადოშვილ .

105

## სასალსო გვარდიას

სალამი იმათ ვინც მეტკრ ბრძოლით
ბოლო მოუღო ყავ-ბნელ სამყაროს
ხალხთა შურისა და მტრობის ნაცვლად.
ძმობა ერთობა რომ დაამყაროს..,
მაშ წინ გასწიეთ მოუ იდეპლათ
მოსპეთ ჩვენს ირგვლივ მტერთა თარეში
რომ მალე ყველა ერთ დ შევიდეთ
დიდის ხნის ნანატრ-აღთქმის მხარეში

ი მეგრელიძე

## ზეიმის დღეა

ვიშ, რა დღეა! დახეთ, დახეთ, როგორ მოდის თოფ ქვეშ წყება!..
ვიშ რა ჰშვენით, მათი ცქერით კაცის თვალი ვერ გაძღება!
დღეს გვარდიის მთელი ჯარი საზეიმოდ მოკაზმულა!
დღეს გვარდ ის მთელი ძალა თოფქვეშ მწყობრად დარაზმულა
დღეს ზეიმობს ჩვენი ერი, როცა სჭვრეტავს თვის ლომ გულებს!
როცა უცქერს თავის დამცველთ, თოფ ქვეშ მწყობრად დარაზმულებს!
დღეს აქ არის თქვენი რაზმი, ვინც, რომ რკინა აფოლადა
ვინც თვის გულში ხალხის გრძნობა ბრძოლის ცეცხლით გამოზარდა!
გახსოვთ ძმებო! ბ ძოლის ველზე, რომ დაეცნენ თქვენი ძმები!
სამშობლოს, რომ შეიწირა, თქვენი რაზმის მეგობრები;
დღეს ისინი საფლავიდან აიშალნენ, აქ არიან..,
დღეის ზეიმს არ აკლდებათ თქვენი ხილვა უხარიან!
სალამი თქვენ ხალხის შვილნო! სალამი თქვენ ჩვენს გვარდიას,
რესპუბლიკის სიამაყეს სამშობლოის ვარდს და იას!

დ. შანშიაშვილი

## ზეიმს ვიხდი, მომილოცე!

ზეიმს ვიხდი, მომილოცე ნუღარ ცელქობ მოდი ჩქარა,
დღეს საამო ხმებს გაჰფანტავს რ. ინდ ერის ბუკ-ნაღარა!
მოდი, მოდი ამდენ ტანჯვით გული ჩემი დაიღარა,
აღარ ძალმიძს რომ ვიტანჯო შენ მკრთალ ლანდის ანაბარა!
ფრთებ გაშლილი, თავისუფლად მოგეხვევი ბროლის ყელზე,
სადაც წავალ იქით მომყე ჭირში, ლხინში ბრძოლის ველზე

შალვა მეფანდური

## სახალხო გვარდიას!

გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას, ჩვენს ჯარსა და მათ სარდლებსა;
გაუმარჯოს საქართველოს, წყევა კრულვა მოსულ მტრებსა!
ვაშა, ვაშა გმირ გვარდიელთ, ბრძოლის ცეცხლში გამოცდილებს,
და კურთხევით მოგონება ბრძოლის ველზე დახოცილებს!..

ვ. კირვალიძე

## ჩვენს საამაყო გვარდიას

ცენთო ალმას ბროლით...
ძარღვებში სისხლი გახელდა..
მოჰქრიან გმირები ბრძოლით,
მტერს უვლის სხეულში ელდა...
მღერიან ჩაგრულთ მაყრულს
ენთება ალაჰი სხივათ
და მუხთალს ხმალნაკრავ დაკრულს
აზმორებს კანკალით ცივად..
უხდებათ მტრის რაზმში შევლა...
ალესენ სისხლში ხმლის პირებს .
ქვეყნის მტერს კრულვა და წყევა..
სალამი ჩვენს ძმებს... ჩვენს გმირებს...

ი. მოსაშვილი

## დარაჯის სიმღერა

არ დაიძინო ფრთხილად, იცოდე
ძილის დრო მოკვდა დიდი ხანია!..
მტერი ამღვარა, მოდის, იჩქარის...
ვერაგს პირიც არ დაუბანია.
ფეხის აკრეფით ითვლის ნაბიჯებს,
და თუ შეგატყობს სიძაბუნესა,
ის დროს აფასებს, და ყოველს წუთში
მოითხოვს თითო საუკუნესა.
ის ჰკვიანია, ფრთხილი, ცბიერი,
ეშმაკი [illegible],
დააბინავა ცაში ღმერთები
და თვით ქვეყანას დაეპატრონა,
მიმოიხედე შენსა გარშემო
და ყოველ კუთხეს მოავლე თვალი,
დღეს უნდა შეგხვდეს გზა-ჯვარედინზე
წარსული, აწმყო და მომავალი.
გამოაცოცხლე დროთა წიაღში
მკვდრათ ჩამარხული შენი ღირსება,
გახსოვდეს შემდეგ მოიმკი ყველას,
რაც კი დღეს ქვეყნად დაითესება.
საყვარელიადო დარეკე ზარი,
ლაღლილი ხელი არ შეაჩერო,
ვიდრემდის მხდალი სულით ურწმუნო
ჭეშმარიტებას არ დააჯერო
გეყოფა ტანჯვა, გოდება, ცრემლი,
დადგა ჟამი, რომ შენც გაიცინო.
დასძახე ჰიმნი გამარჯვებისა.—
არ დაიძინო არ დაიძინო!..

ა. შელიძე



სოფ. ხაშმის [გარეკახეთის] გვარდია

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი